ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი # 99

8 დეკემბერი 2020 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.

კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, ლევან დავითაშვილი,ლევან არველაძე,რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი.
სხდომას ასევე ესწრებოდა:

საფინანსო საქალაქო სამსახურიდან- გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან - ირაკლი თავართქილაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ გრიგოლია.

დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე. 12-032034233

2.ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №96-110-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 007/049) არსებული ტერიტორიიდან (ს/კ: №01.13.08.007.049) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარენოსთვის" (ს/ნ 202198237) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-03203314-03

3.ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა №67-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.10.006.001.01.604)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-032032518-03

4.ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.106.01.501 და №01.15.07.003.106.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-032032519-03

5.ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის II ჩიხი, №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.069.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-032032519-03

6.ქალაქ თბილისში, გიორგი მაზნიაშვილის ქუჩა №15-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.05.021.009.01.543) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების საკითხის შეთანხმების თაობაზე№12-032032519-03

7.ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა, №7-11/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.055.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე№12-032032519-03

8.ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, უძოს III ჩიხი, №2-ში (საკადასტრო კოდი: №81.01.06.466.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-032032519-03

9.ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, №10-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.044.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმებისსაკითხის შეთანხმების თაობაზე №12-032032519-03

10.ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩა №86-ში (საკადასტრო კოდები: №01.20.01.129.053.01.500; №01.20.01.129.053.01.501 და №01.20.01.129.053.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე საკრებულოს №12-032032519-03

11.ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა №74-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.105.01.001 და №01.17.02.059.105.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-03203312-03

12.ქალაქ თბილისში, ოქროყანაში, მდებარე 55.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: №01.15.07.006.124) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-03203312-03

13."ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, №12-16/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.045.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-032032519-03

14.ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუსი №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.27.009.003.01.084) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-03203313-03

15.ქალაქ თბილისში, დიდი ლილო/სოფელ დიდ ლილოში არსებული 70 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.08.04.628) სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-03203396-03

16.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, №46-ში მდებარე უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-03202873-03

17.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო 2016 წლის 1 ნოემბრის №355 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმის" (ს/კ: 404984497) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-032032343-03

18.ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით - ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „მაილინგრუპს" (ს/ნ 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებულ „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „მაილინგრუპის" (ს/ნ 205207364) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.№12-032033650-03

19.ქალაქ თბილისში, ქუჩა ბაღდადი, ნაკვეთი 23/042-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 28 ოქტომბრის N20.1275.1580 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. №12-032034232-03

20.„ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების" (ს/ნ: 402036998) მიერ ქ. თბილისში, მიხეილ ზანდუკელის ქ. N1-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: 01.15.02.011.011.01.506; 01.15.02.011.011.01.004ა) შესყიდვის საკითხის მოწონების თაობაზე

21.ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში კორპუს N1-ში და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

22."ქალაქ თბილისში, ივანე მაჩაბლის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.05.078.003.01.573; N01.15.05.078.003.01.574) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება შემოსავლების ნაწილში სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 20 000,0 ათასი ლარით, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში ავტობუსების შესაძენად დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად. შესაბამისად, ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 20 000,0 ათასი ლარით და შეადგენს 1 121 648,1 ათას ლარს.

გარდა ამისა, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები, რაც ხორციელდება მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში/ქვეპროგრამებში ღონისძიებების ღირებულების დაზუსტებით გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე. მოძიებული და დამატებითი რესურსების გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) ქვეპროგრამის ასიგნება – 16 000,0 ათასი ლარი, მეტროს სადგურების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 01 02 03) – 4 000,0 ათასი ლარი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 27 979,9 ათასი ლარი, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) პროგრამის ასიგნება – 909,5 ათასი ლარი, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) – 150,0 ათასი ლარი, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) – 6 335,5 ათასი ლარი, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) ქვეპროგრამის ასიგნება – 220,0 ათასი ლარი, ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) – 1 700,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (06 02 02) – 330,0 ათასი ლარი, უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი 06 02 06 02) – 8,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) – 160,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) – 90,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) – 40,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) – 50,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 160,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – 62,3 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) – 79,8 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი 06 02 22) – 46,0 ათასი ლარი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (კოდი 06 02 28) – 80,0 ათასი ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (07 01 02) – 7 441,1 ათასი ლარი, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნება – 180,0 ათასი ლარი, თეატრი „გლობუსი" (კოდი 08 01 05) ქვეპროგრამის ასიგნება – 19,6 ათასი ლარი, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნება – 400,0 ათასი ლარი, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) - 102,5 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები (08 06 01) ქვეპროგრამის ასიგნება – 235,5 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 31) პროგრამის ასიგნება - 6,0 ათასი ლარი, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 26) – 1 900,0 ათასი ლარი.

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 6 279,9 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) – 150,1 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) – 119,2 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) – 18,1 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) – 82,4 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 10,0 ათასი ლარი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 372,9 ათასი ლარი, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნება – 892,7 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) – 96,7 ათასი ლარი, საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნება – 33,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნება – 1 207,7 ათასი ლარით, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი 02 06) - 22,7 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) ქვეპროგრამის ასიგნება – 134,9 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 244,7 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 333,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 85,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) – 1,4 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 74,8 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) – 11,4 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 17) – 60,0 ათასი ლარი, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნება – 532,3 ათასი ლარი, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) ქვეპროგრამის ასიგნება – 1 140,0 ათასი ლარი, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნება – 50,0 ათასი ლარი, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) – 3,3 ათასი ლარი, თბილისი საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) – 23,0 ათასი ლარი, შიდა აუდიტის სისტემის გამართვა (კოდი 04 07 02) ქვეპროგრამის ასიგნება – 40,6 ათასი ლარი, სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება (კოდი 04 07 03) – 10,0 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) პროგრამის ასიგნება – 233,9 ათასი ლარი, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) – 8,7 ათასი ლარი, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება (კოდი 04 12) – 377,6 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნება – 21,5 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) – 72,3 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) – 126,1 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) – 82,4 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) – 35,6 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) – 114,4 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) – 28,1 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) – 50,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) – 275,0 ათასი ლარი, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 05) – 30,0 ათასი ლარი, ,,c" ჰეპატიტის დიაგნოსტიკა" (კოდი 06 01 12) – 67,0 ათასი ლარი, კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) - 220,0 ათასი ლარით, უფასო სწავლება მოსწავლე ხალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (კოდი 06 02 06 01) – 60,0 ათასი ლარი, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06 02 06 03) – 300,0 ათასი ლარი, სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) (კოდი 06 02 06 04) – 170,0 ათასი ლარი, სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა (კოდი 06 02 07) – 400,0 ათასი ლარი, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09) – 1 400,0 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება (კოდი 06 02 10) – 21,0 ათასი ლარი, საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) – 18 652,0 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 14 14) – 12,4 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 15 10) – 4,2 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 15 15) – 6,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები სამგორის

რაიონში (კოდი 06 02 16 14) – 4,3 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 17 10) – 6,5 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 17 15) – 3,9 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი 06 02 24) – 20,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 25) – 46,0 ათასი ლარი, შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი 06 02 26) – 50,0 ათასი ლარი, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – 1 251,1 ათასი ლარი, იურიდიული კლინიკა (კოდი 07 05 02) – 30,2 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა (კოდი 07 05 03) – 380,0 ათასი ლარი, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა (კოდი 07 06 01) – 300,0 ათასი ლარი, თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი (კოდი 08 01 03) – 500,8 ათსი ლარი, მწვრთნელთა მხარდაჭერა (კოდი 08 06 02) – 17,5 ათასი ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 5 979,5 ათასი ლარი, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება (კოდი 08 06 05) – 18,0 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 08 11 01) – 68,6 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 08 11 02) – 68,2 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) – 70,0 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 08 11 04) – 59,5 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 08 11 05) – 70,0 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 08 11 06) – 8,2 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 08 11 07) – 42,5 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 08 11 08) – 60,6 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 08 11 09) – 70,0 ათასი ლარი, თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი (კოდი 08 13) პროგრამის ასიგნება – 15,6 ათასი ლარი, თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა (კოდი 09 01) – 32,6 ათასი ლარით, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) – 3,2 ათასი ლარი, ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) – 200,0 ათასი ლარი, მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) – 2 978,5 ათასი ლარი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური (კოდი 10 20) – 82,4 ათასი ლარი, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) – 11,9 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კოდი 10 28) – 101,6 ათასი ლარი, დიდუბის რაიონის გამგეობა (კოდი 10 29) – 22,2 ათასი ლარი, ვაკის რაიონის გამგეობა (კოდი 10 31) – 20,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონის გამგეობა (კოდი 10 34) – 40,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) – 403,8 ათასი ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 46) – 271,3 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა (კოდი 10 47) – 300,0 ათასი ლარი, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 48) – 279,5 ათასი ლარი).

როგორც გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, დაზუსტდა შემდეგი ქვეპროგრამების აღწერილობითი ნაწილი: დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02), გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 05), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11). ასევე, სახელწოდება შეეცვალა ქვეპროგრამას - სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდია (კოდი 01 02 05).

მომხრე-8 ვაჟა ოთარაშვილმა თავი შეიკავა.

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა ირაკლი თავართქილაძემ.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №96-110-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 007/049) არსებული ტერიტორიიდან (ს/კ: №01.13.08.007.049) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარენოსთვის" (ს/ნ 202198237) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, შპს „მარენოს" დირექტორმა, განცხადებებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. N96-110-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 007/049) არსებული ტერიტორიიდან (ს/კ: 01.13.08.007.049) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 5 წლის ვადით. აღნიშნული კომპანიის საკუთრებაშია თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. N106-ში მდებარე ფართები (ს/კ: 01.13.08.007.007.01.579).
აღინიშნა, რომ მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და სამსახურის წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ საკითხი განიხილა მერიაში მოქმედმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ და მისი გადაწყვეტილებით დადებითი შეფასება მიეცა მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვის საკითხს, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, მაგიდების და სკამების საყვავილე ქოთნების გარეშე განთავსების რეკომენდაციით (ან მცირე ზომის ქოთნების განთავსებით).
წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1500 ლარის ოდენობით.
მომხრე-9

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა №67-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.10.006.001.01.604)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

როგორც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა ,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის წერილით დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N67-ში, მეორე სართულზე მდებარე 86.25 კვ.მ ფართის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.001.01.604) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, მოქალაქე სესილი დავრაშელიძისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. შსს-ს წერილით, გლდანის რაიონის გამგეობის შუამდგომლობითა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმით დასტურდება, რომ სესილი დავრაშელიძე ოჯახთან ერთად 2000 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.
მომხრე-9

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.106.01.501 და №01.15.07.003.106.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა N1-ში, პირველ სართულზე მდებარე 54.50 კვ.მ. და სარდაფში მდებარე 11.56 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.106.01.501 და N01.15.07.003.106.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცა მოქალაქე გილდი თვარაძეს. მოქალაქე დიდი ხნის განმალობაში ცხოვრობს აღნიშნულ ფართში. წარმოდგენილია შესაბამისი გამგეობისა და შსს წერილები ცხოვრების ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით.
მომხრე-9

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის II ჩიხი, №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.069.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის II ჩიხი, N7, პირველ სართულზე, ბინა N1-ში მდებარე 108.04კვ.მ. უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.069.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ვაჟა შავერდაშვილს, რომელიც გამგეობის, შშს-სა და მეზობლების დასტურით დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობს აღნიშნულ ფართში.

მომხრე-9

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გიორგი მაზნიაშვილის ქუჩა №15-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.05.021.009.01.543) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ქალაქ თბილისში, გიორგი მაზნიაშვილის ქუჩა N15, მეორე სართულზე მდებარე 17.51 კვ.მ. უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.16.05.021.009.01.543) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე თინა ახობაძეს , რომელიც დიდი ხნის განმავლობაში სარგებლობს აღნიშნული ფართით და საჯარო რეესტრის ამონაწერით თბილისში საკუთრების უფლება სხვა უძრავ ქონებაზე არ უფიქსირდება.

მომხრე-9

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა, №7-11/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.055.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა, N7-11/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N7, I-II სართულზე, მდებარე 107.10 კვ.მ. ბინა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.055.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ია ჩიჩუას . საჯარო რეესტრის ამონაწერით თბილისში საკუთრების უფლება სხვა უძრავ ქონებაზე არ უფიქსირდება და მოქალაქე დიდი ხნის განმავლობაში სარგებლობს აღნიშნული ფართით.

მომხრე-9

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, უძოს III ჩიხი, №2-ში (საკადასტრო კოდი: №81.01.06.466.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

თანხმობის მისაღებად წარმოდგენილია თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტი "ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, უძოს III ჩიხი, N2-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.466.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე". განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება: ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, უძოს III ჩიხი, N2-ში, მეორე სართულზე, მდებარე 50.75 კვ.მ. ბინა N3

(საკადასტრო კოდი: N81.01.06.466.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე იზა საღირაშვილს . წარმოდგენილია ცხოვრების ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით გამგეობისა და შსს წერილები.
მომხრე-9

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, №10-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.044.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმებისსაკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N10-ში, 1-2 სართულზე მდებარე 129.18 კვ.მ. ფართობის ბინა N3-ი (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.044.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ირინე გელაშვილს . მოქალაქე დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობს და სარგებლობს აღნიშნული ფართით. საჯარო რეესტრის მონაცემებით მოქალაქეს საკუთრების უფლება თბილისში უძრავ ქონებაზე არ გააჩნია.
მომხრე-9

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩა №86-ში (საკადასტრო კოდები: №01.20.01.129.053.01.500; №01.20.01.129.053.01.501 და №01.20.01.129.053.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩა N86-ში, პირველ სართულზე მდებარე 79.18 კვ.მ., მეორე სართულზე მდებარე 74.56 კვ.მ და სარდაფში მდებარე 84.00 კვ.მ. უძრავი ქონება (საკადასტრო კოდები: N01.20.01.129.053.01.500; N01.20.01.129.053.01.501 და N01.20.01.129.053.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მარინე ტაბუცაძეს. მოქალაქე დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობს და სარგებლობს აღნიშნული ფართით. საჯარო რეესტრის მონაცემებით მოქალაქეს საკუთრების უფლება თბილისში უძრავ ქონებაზე არ გააჩნია.

მომხრე-9

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა №74-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.105.01.001 და №01.17.02.059.105.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა №74-ში მდებარე უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა ნინო ჟვანია-გვალიას- 59,30 კვმ (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.105.01.001) და ლია ტყემალაძეს -62,84 კვმ (№01.17.02.059.105.01.002). მოქალაქეები დიდი ხნის განმავლობაში ფლობენ აღნიშნულ ფართებს.

მომხრე-9

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ოქროყანაში, მდებარე 55.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: №01.15.07.006.124) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, მოქალაქე ვახტანგ მათიაშვილს პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად გადაეცემა საკუთრებაში, ქალაქ თბილისში, ოქროყანაში მდებარე 55.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი: №01.15.07.006.124) .

მომხრე-9

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, №12-16/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.045.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N12-16/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი N7-ში, 1-2 სართულზე, მდებარე 109.34 კვ.მ. ფართობის ბინა N3-ი (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.045.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე რუსუდან გობეჯიშვილს, რომელიც დიდი ხანია სარგებლობს აღნიშნული ფართით.წარმოდგენილია ცხოვრების ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით გამგეობის წერილი და შესაბამისი რაიონის შსს გასაუბრების ოქმები.
მომხრე-9

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუსი №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.27.009.003.01.084) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ მოქალაქე ნინო მამადაშვილს პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუსი №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.27.009.003.01.084) მდებარე უძრავი ქონება 17 კვმ.

მომხრე-9

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დიდი ლილო/სოფელ დიდ ლილოში არსებული 70 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.08.04.628) სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლურ ეკლესიას (ს/კ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით გადაეცემა,

ქალაქ თბილისში, დიდი ლილო/სოფელ დიდ ლილოში არსებული 70 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 81.08.04.628) სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად.

მომხრე-9

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, №46-ში მდებარე უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N46-ში მდებარე N01.14.05.003.013.01.501; 01.14.05.003.013.01.502; 01.14.05.003.013.01.503 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონება (თავისი წილი მიწის ნაკვეთით) გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით 247,000 (ორას ორმოცდაშვიდი ათასი) ლარის ოდენობით, საპრივატიზებო პირობით, პრივატიზებაზე, შპს „იბერკომპანის" (ს/ნ: 231963818) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გამზირი ვაჟა-ფშაველა, N29-ის მიმდებარე არსებული 960 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.15.007.153) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

მომხრე-9

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო 2016 წლის 1 ნოემბრის №355 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმის" (ს/კ: 404984497) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

როგორც ირაკლი თავართქიაძემ განმარტა, 2016 წელს შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმს" პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარით., გადაეცა სამგორის რაიონში მდებარე 36916 კვმ მიწის ნაკვეთი, სადაც უნდა მოეწყო საფებურთო სტადიონები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. საიჯარო თანხა შეადგენდა 46000 ლარს, ხოლო იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრა 30 წლით.

საფეხბურთო კლუბის დირექტორი წერილობით განაცხადში აღნიშნავს, რომ კლუბს ყავდა ორი ირანელი პარტნიორ-ინვესტორი. მათ დაიწყეს ინვესტიციის განხორციელება,რის სანაცვლოდაც გადაეცათ კომპანიის საკონტროლო პაკეტის 50%. როგორც კომპანიის წარმომადგენელი თავის განცხადებაში აღნიშნავს, მათთვის უცნობი მიზეზების გამო უცხოელი პარტნიორები ქვეყანაში არ შემოუშვეს, რაც გახდა მათ შორის ერთიერთთანამშრომლობის ჩაშლის მიზეზი. გამოჩნდა კომპანიასთან თანამშრომლობის მსურველი სხვადასხვა კომპანიები, მაგრამ პანდემიისგან ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო, ყველა მოლაპარაკება შეწყდა.

ყოველივე აღნიშნულისგან გამომდინარე, შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმის" დირექცია ითხოვს იჯარის საფასურის შეცვლას სიმბოლური ფასით და იჯარის გადაუხდელობის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებას. წარმოდგენილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შუამდგომლობის წერილი.

საკითხის განხილვა წარიმართა კითვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-9

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით - ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „მაილინგრუპს" (ს/ნ 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებულ „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „მაილინგრუპის" (ს/ნ 205207364) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ „ქ. თბილსში, წურწუმიას და ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 11 ნოემბრის N31.29.1285 დადგენილების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით - ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „მაილინ გრუპს" (ს/ნ: 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმდა „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულება. ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად, საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, წურწუმიას და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვეთი 50/026) არსებული 13 266 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.17.01.050.029) და ქ. თბილისში, წურწუმიას და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვეთი 50/024) არსებული 7000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები N1 (ნანგრევი), N2, N3 (მშენებარე), N4, N5 (ნანგრევი) (საკადასტრო კოდი: 01.17.01.050.031 (ამჟამინდელი საკადასტრო კოდი: 01.17.01.050.042. დარღვეულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. კერძოდ: კომპანიას 2017 წლის 5 ივლისიდან 3 წლის ვადაში „ქ. თბილისში, წურწუმიას და ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ ყოფილი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისათვის (20 (ოცი) ოჯახი) საკუთრებაში უსასყიდლოდ უნდა გადაეცა არანაკლებ ჯამში 800 კვ.მ. (თითო ოჯახზე არანაკლებ 40 კვ.მ.) საცხოვრებელი ფართი, რომელიც იქნებოდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, თეთრი კარკასის მდგომარეობაში, გარემონტებული.

მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ გადაცემიდან ერთი წლის ვადაში - 2018 წლის 5 ივლისამდე, უნდა წარმოედგინა ამ პირების (20 (ოცი) ოჯახი) სანოტარო ფორმით დამოწმებული თანხმობა, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ აღნიშნული პირები, როგორც „კრედიტორები" თანხმობას აცხადებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაცვლად, შპს „მაილინ გრუპისაგან", როგორც „მოვალისგან" მიიღონ ჯამში 800 კვ.მ საცხოვრებელი ფართი და მომავალში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ არ ექნებათ არანაირი მოთხოვნის უფლება და რაიმე სახის პრეტენზია.

შპს „მაილინ გრუპის" (ს/ნ: 205207364) მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული „კრედიტორების" თანხმობის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, კომპანიას განსაზღვრულ ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უნდა გადაეცა უსასყიდლო საკუთრებაში აღნიშნული ფართი. უნდა მოეხდინა N01.17.01.050.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 7000 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთზე მცხოვრები პირების (ოჯახების) იდენტიფიცირება და მათი სანოტარო ფორმით დამოწმებული თანხმობის წარმოდგენა, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ აღნიშნული პირები ნამდვილად ფლობენ ან სარგებლობენ საპრივატიზებო ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონებით.
როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მყიდველმა 2018 წლის 10 ოქტომბერს განცხადებით, შესაბამისი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე და ხელშეკრულების საფუძველზე პირგასამტეხლოს

დაკისრებამდე, აცნობა გამყიდველს, რომ განახორციელა 20 პირის იდენტიფიცირება, ასევე, N01.17.01.050.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ამჟამინდელი საკადასტრო კოდი: 01.17.01.050.042) მცხოვრები პირების (4 (ოთხი) ოჯახის) იდენტიფიცირება, თუმცა სანოტარო ფორმით დამოწმებული თანხმობების წარმოდგენა, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ აღნიშნული პირები ნამდვილად ფლობენ ან სარგებლობენ ნასყიდობის საგანზე არსებული უძრავი ქონებით და თანხმობას აცხადებენ, შპს „მაილინ გრუპისაგან" საცხოვრებელი ფართების მიღებაზე, ხოლო უარს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ რაიმე სახის პრეტენზიის განცხადებაზე, მყიდველმა ვერ შეძლო, ვინაიდან იდენტიფიცირებული პირები უარს აცხადებენ ხელმოწერაზე. ასევე აღნიშნა, რომ ობიექტური მიზეზების გამო ვერ შეძლებდა საპრივატიზებო ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებას და ითხოვა საპრივატიზებო ვალდებულებების, შესრულებისათვის გათვალისწინებული ვადის 8 (რვა) თვით გახანგრძლივება, 2021 წლის 5 მარტამდე ვადით.

ასევე აღნიშნა, რომ კომპანია წააწყდა მნიშვნელოვან სირთულეებს სამშენებლო პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის მოპოვების პროცესში და მშენებლობის ნებართვის აღება მოხერხდა მხოლოდ 2019 წლის სექტემბრის ბოლოს. აღნიშნულის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ, კომპანიამ დაიწყო სამშენებლო პროცესი , თუმცა სამშენებლო სამუშაოებს ხელი შეუშალა პანდემიად აღიარებული, Covid-19-ის გავრცელების შედეგად შექმნილმა გარემოებებმა.

ირაკლი თავართქილაძის თქმით კომპანია ითხოვს :

1) თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის #14.58.676 დადგენილებით განსაზღვრული 20 ბენეფიციარების იდენტიფიცირებისა და მათთვის ქონების გადაცემის ვალდებულებები გადავადდეს 05.03.2021 წლამდე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღნიშული პირები უარს განაცხადებენ ფართის მიღებაზე და კომპანიასთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე კომპანიას მიეცეს შესაძლებლობა რომ არაუგვიანეს 05.05.2021 წლამდე აღნიშნული ფართი გადასცეს საკუთრებაში პირდაპირ თბილისის მუნიციპალიტეტს.
2) N01.17.01.050.031 მიწის ნაკვეთზე არამართლზომიერად/თვითნებურად მცხოვრები პირებისთვის ქონების გადაცემის ვალდებულება გადავადდეს 05.07.2021 წლამდე, ხოლო იმ შემთვევაში თუ აღნიშნულ პირებზე გადაცემული უძრავი ქონება იქნება 5 ერთეულზე ნაკლები (მიუხედავად იმისა, შესაბამის პირებს გადაეცა ქონება თუ ფულადი კომპენსაცია) , სხვაობა გადასცეს საკუთრებაში თბილისის მუნიციპალიტეტს არაუგვიანეს 05.08.2021 წლისა.
3) თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის #14.58.676 დადგენილებით განსაზღვრული 20 ბენეფიციარისა და N01.17.01.050.031 მიწის ნაკვეთზე მაცხოვრებელი პირებისათვის ფართის გადაცემის სანაცვლოდ თუკი ისინი დათანხმდებიან, ფულადი კომპენსაციის მიღებაზე (რაც გაფორმდება შესაბამისი ფორმით) კომპანიას აღნიშნული ჩაეთვალოს საპრივატიზებო მოვალეოების შესრულებაში;
4) N01.17.01.050.031 მიწის ნაკვეთზე მდებარე მშენებარე შენობა #1-ში არსებულ ბინებს, გარდა წერილში მითითებული ბინებისა (25 ერთეული) მოეხსნას თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკის უფლება და ვალდებულება;
5) შპს „მაილინ გრუპი" (ს/კ 205207364) გათავისუფლდეს ხელშეკრულების 4.3.4, 4.3.5 და 4.3.6 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის, ამავე ხელშეკრულების 6.4 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან.

უნდა აღინიშნოს რომ კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მის მიერ, დღეის მდგომარეობით დასრულებულია მიწის ნაკვეთზე შესაბამისი შენობა-ნაგებობის მშენებლობა და ამ ეტაპზე კომპანია მუშაობს შენობის ექსპლოატაციაში მიღებაზე. ვალდებულებების დარღვევის გამო, ეკისრება პირგასამტეხლო, თითოეული ვალდებულების დარღვევისათვის 100 (ასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვალდებულებების შესრულებამდე. 12.11.2020 წლის მდგომარეობთ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა შეადგენს 111 900 (ას თერთმეტი ათას ცხრაასი) ლარი (4.3.4 მუხლის დარღვევისათვის - 12 900 ლარი; 4.3.5 მუხლის დარღვევისათვის - 86 100 ლარი; 4.3.6 მუხლის დარღვევისთვის 12 900 ლარი) .

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოსგან მყიდველის გათავისუფლების საკითხი.

გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ მყიდველის მიერ ვერ მოხერხდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად შესრულება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ხელშეკრულებაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებების შეტანა, ასევე, დეტალურად გაიწეროს შესაბამისი ვალდებულებების შესრულების პროცედურა.

საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

მიუხედავად ირაკლი თავართქილაძის საკითხის დეტალურად წარმოდგენისა, კომისიის წევრებმა მიიჩნიეს რომ საკითხის უფრო კარგად შესწავლის მიზნით, განხილვა გადაიდოს მომდევნო სხდომისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტის გადადება მომდევნო სხდომისათვის.

მომხრე-9

კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით - ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „მაილინგრუპს" (ს/ნ 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებულ „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „მაილინგრუპის" (ს/ნ 205207364) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე, **გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ქუჩა ბაღდადი, ნაკვეთი 23/042-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 28 ოქტომბრის N20.1275.1580 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, მთავრობის განკარგულებაში გაიპარა ტექნიკური ხასიათის შეცდომა, ერთერთი მოქლაქის გვარი არასწორად არის მითითებული , რაც ხელისშემშლელი პირობაა ხელშეკრულების გაფორმების დროს. შესაბამისად ცვლილების შეტანაა საჭირო თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებაშიც.

მომხრე-9

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების" (ს/ნ: 402036998) მიერ ქ. თბილისში, მიხეილ ზანდუკელის ქ. N1-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: 01.15.02.011.011.01.506; 01.15.02.011.011.01.004ა) შესყიდვის საკითხის მოწონების თაობაზე

ა.ა.ი.პ - მუზეუმების გაერთიანების (ს/ნ: 402036998) დირექტორმა, მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს, ქ. თბილისში, მიხეილ ზანდუკელის ქ. N1-ში მდებარე, ქ. თბილისის მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის შენობაში არსებული 54.54 კვ.მ. ფართისა (ს/კ: 01.15.02.011.011.01.506) და 13.50 კვ.მ. სარდაფის (ს/კ: 01.15.02.011.011.01.004ა) გამოსყიდვასთან დაკავშირებით. წერილში აღნიშნულია, რომ ეს უძრავი ქონება, რუსუდან თორღვაშვილმა 1997 წლის 11 ოქტომბერს ანდერძით მიიღო მერაბ კოსტავას დედისგან - ოლღა

დემურიასგან და წარმოადგენს რუსუდან თორღვაშვილის ერთადერთ საცხოვრებელს. ა.ა.ი.პ - მუზეუმების გაერთიანების გენერალური დირექტორი აღნიშნავს, რომ ამ ფართების გამოცალკევება შეუძლებელია სამუზეუმო სივრცისაგან. შენობაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს და ა.ა.ი.პ - მუზეუმების გაერთიანებისთვის უზუფრუქტის ფორმით არის გადაცემული ორი ოთახი, 47.77 კვ.მ. ფართობით (ს/კ: 01.15.02.011.011.01.509). უნდა აღინიშნოს, რომ მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი გაიხსნა 1991 წელს, მისსავე საცხოვრებელ სახლში. მასში დაცულია უნიკალური მასალა, მერაბ კოსტავას პირადი ნივთები, მემორიალური ავეჯი, მისი ბიბლიოთეკა, ხელნაწერები და სხვა. მუზეუმში დაცულია მეოცე საკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ფოტო და დოკუმენტური მასალა, წერილები, იმ პერიოდში გამოცემული არალეგალური ჟურნალ-გაზეთები და სხვ. გენერალური დირექტორი აღნიშნავს, რომ მუზეუმს, მისი დაარსების დღიდან არ ჩატარებია მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები. მუზეუმების გაერთიანების მიზანია სახლ-მუზეუმი გახდეს ახალი მიზიდულობის ცენტრი დედაქალაქში, როგორც ჩვენი თანამოქალაქეებისათვის, ასევე, საქართველოს უახლესი ისტორიით დაინტერესებული ტურისტისათვის. სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, ვერ ხერხდება, შენობაში არსებულ ფართებზე კერძო საკუთრების უფლების გამო. აღნიშნული გარემოებების გამო, ა.ა.ი.პ - მუზეუმების გაერთიანება დაინტერესებულია სახლ-მუზეუმის შენობაში მდებარე კერძო საკუთრებაში არსებული ფართების გამოსყიდვით

აღნიშნული ფართების გამოსყიდვა მიზანშეწონილად მიიჩნია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურმა.

ამ განკარგულებით განიხილება სახლ-მუზეუმისთვის საჭირო ფართების თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით გამოსყიდვა ა.ა.ი.პ - მუზეუმების გაერთიანების მიერ,მათი მესაკუთრის მიერ მითითებულ თანხად, მიუხედავად იმისა, რომ იგი აღემატება საექსპერტო შეფასებით დადგენილ ღირებულებას, რაც შესაძლებლობას მისცემს ამ ორგანიზაციას, განახორციელოს საქართველოს ეროვნული გმირის მემორიალური სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები და უზრუნველყოს მისი შესაფერისი მოვლა-პატრონობა, სათანადო დონეზე.

მომხრე-9

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში კორპუს N1-ში და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში კორპუს N1-ში და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა, (18 პირს (18 ოჯახს) - საერთო რაოდენობით ჯამში 891.36 კვ.მ.

შსს-ს ცნობებით და მეზობლების ჩვენებით დასტურდება, რომ ეს ოჯახები აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 2009-2010 წლებიდან.

მომხრე-9

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, ივანე მაჩაბლის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.05.078.003.01.573; N01.15.05.078.003.01.574) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ქალაქ თბილისში, ივანე მაჩაბლის ქუჩა, N16-ში, მე-2 სართულზე მდებარე 29.97 კვ.მ. და 9.95 კვ.მ. უძრავი ქონება (საკადასტრო კოდები: N01.15.05.078.003.01.573 და N01.15.05.078.003.01.574) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე სოფიო გოგოლაძეს, რომელიც დიდი ხანია სარგებლობს აღნიშნული ფართით. საჯარო რეესტრის მონაცემებით თბილისში მოქალაქის უფლების რეგისტრაცია უძრავ ქონებაზე არ ფიქსირდება.

მომხრე-9

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე **ოთარ გრიგოლია**